ცნობის ფურცელი

№ 2523 კვირა, 13 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2523

10 ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში
ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მარიამ ხიტურას ასული რამიშვილისა და ოსიეშ, ონისიმე, ისიდორე და იულონ ივანეს ძენი რამიშვილებ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ შვილისა და მეორენი ძვირფას ძმის

ანტონ ივანეს ძის რამიშვილისას,

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია ს. სურებში 13 ივნისს, დილის 10 საათზე. (1—1)

Feriencolonien. „პატარა-ცემი“-ს Colonie des vacances.

საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭლექის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, ბევრი და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ხანა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად და წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—17)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერიულის და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ნ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

გ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მძ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საშვებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საშვებით და ბავშ. (შენაწყლება ძიძებისა) ოთხშაბათ, პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ოთშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 8. ბანის ქუჩიდან-კი 34 Б.

(Гл.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—20)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ, საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ქუთაისის ქუჩა, № 24 სახლი ჯაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

ამის თვით მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში, სექტემბრიდან კი გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლებში № 12, „კრუჟოკის“ გვერდით. (5—4)

ქუთაისში

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—16)

გარდაცვალებულის

პეტრე იოსების ძის უმიკაშვილის

ქვრივი ეკატერინე სტეფანეს ასული კაკაბაძისა გულითად მადლობას უძღვნის ყველას, ვინც პირადად, დეპეშით თუ წერილით თანაგრძნობა გამოუცხადა მას. (უ)

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ა. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ საკონდიტერო დარბაზში

იყიდება

მიტროფანე ლაღიძის

საუკეთესო ქარხნის ნამდვილი

ხილეულის

მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—ნკ.—7)

ბუნების მეტყველების უმაღლეს კურსის

სტუდენტი, დახელოვნებული რეპეტიტორი ეძებს გაკვეთილებს.

ბორჯომის ქუჩა № 10, სტუდენტი ქავთარაძე. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. (5—6.—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 10 ივნისს: „9 ივნისს, საღამოთი, იაპონიის ჯარის მოდარაჯე რაზმები იდგნენ სენიუჩენის ჩრდილოეთით, ექვს მილის მანძილზე, ზღვის ნაპირიდან დაწყებული მთების ძირამდე, სოფლებს სიანზაიცსა, დანზიინსა, ლინძიატუნსა, იანცანიატუნსა და ვანსიაოშანში. ლიძიატუნის წვერზე მოქმედებს იაპონელების ჰელიოგრაფიული სადგური. მემარცხენე ფრთაზე მოსჩანდა ქვეითა ჯარის დარაჯთა წრე და ტყვიის მტყორცნელები. 9 ივნისს იაპონიის მზვერავებმა განიზრახეს, მარცხენა და მარჯვენა მხრიდან მოეარათ ჩვენ მოდარაჯე რაზმებისთვის, მაგრამ ეს განზრახვა უნაყოფო იყო. ღამემ წყნარად ჩაიარა. 10 ივნისს დილიდან იაპონელებმა განაახლეს წინსვლა. იმათი ჯარი გაჭიმული იყო ტავაჟიდან მდინარე კანტახემდე. ნაპირთან ზღვაში იაპონელთა გემები აღმოჩნდა. 8 და 9 ივნისს ჩვენმა მოწინავე რაზმებმა შეაჩერეს მტერი, რომელიც სიუიანიდან ხაიჩენისკენ მოდიოდა. ჩვენ დაგვიჭირეს პოდესაული ენგბერტსი და სამი სალდათი. 9 ივნისს იაპონელები გაჩერდნენ ჩიპანლინის უღელტეხილზე და წინ აღარ წავიდნენ. ფინხუანჩენისკენ თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა. ეტყობა მხოლოდ, რომ იაპონელები ჯარს აძლიერებენ ხაბალინის მიდამოებში, სადაც ისინი სიმაგრეებს აკეთებენ. გაჰყავთ აგრეთვე გზა ფინხუანჩენიდან სელიუჯანისკენ. საიმაძიდან ლიაოიანს მიმავალ გზაზე იაპონელებმა აიანიამინს იქით დაიწყეს. 8 ივნისს, სროლის დროს, დაიჭრა პოდესაული ანიჩკოვი და ორი ყაზახი“.

უმაღლესად დაინიშნენ: კიევის სამხედრო ოლქის შტაბის გენერალ-კვარტირმეისტერი გენერალ-მაიორი ბლაგოვეშჩენსკი—მანჯურიის ჯარის მორიგ გენერლად; სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსის თანაშემწე გენერალ-მაიორი ზაბელინი—მანჯურიის ჯარის სამხედრო მიმოსვლის უფროსად; ნამესტნიკის დროებით შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ფლუგი—ნამესტნიკის სამხედრო შტაბის გენერალ-კვარტირმეისტრად.

პარიზი. ტოკიოს კერძო წყაროდან მიღებულ დეპეშის თანახმად, რომელიც დიპლომატიურის გზითაა დამოწმებული, ვლადივოსტოკის კრეისერების მიერ დაღუპულ ტრანსპორტ „სადომარუზე“ დაიღუპა ახლად დანიშნული მარშალი ოიამა მთელის თავისის შტაბით. იმავე გემზე იყო პორტ-არტურისათვის დანიშნულ საალყო არტილერიის უმეტესი ნაწილი. ამ უბედურებამ დიდი მწუხარება გამოიწვია იაპონიაში. ბოლო დროს ზღვასა და ხმელეთზე მტრებისაგან მიყენებულმა დიდმა ზარალმა და ფულის საშოვარ წყაროთა უქონლობამ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა იაპონიის მთავრობა. ბარონ გაიაშის საუბარი ჰქონდა აქ სახალმწიფო მოღვაწეებთან, რომლიდანაც სჩანს, რომ იაპონიის მთავრობას ძლიერ ჰსურს ომის მოსპობა.

ტოკიო. („რეიტ სააგ.“). კავალერიისა და არტილერიის და ქვეითა ჯარის 4000 კაცისაგან შემდგარმა რუსების რაზმმა იერიში მიიტანა 8 ივნისს აიანიამინზე, მაგრამ უკუქცეულ იქნა და სიგოულინისაკენ დაიწია. რუსებს მოუკლეს 5 კაცი და დაუჭრეს 20. იაპონელთა ზარალი ცნობილი არ არის.

ნიუ-ჩუანი. („რეიტ სააგ.“). 10 ივნისიდან მდინარე ლიაოხეს აღმოსავლეთით ახალ სიმაგრეებს აშენებენ. ჩინელები განდევნეს თავიანთ სახლებიდან და ეს სახლები რუსების ჯარს დაუთმეს. გამოცემულია ახალი ბრძანება, რომლითაც აკრძალულია ნიუ-ჩუანის ჩრდილოეთ მხრიდან სურსათის გატანა.—იუწყებიან, რომ ნიუ-ჩუანიდან 8 მილის მანძილზე რუსების დიდი რაზმია კუროპატკინის უფროსობითაო; ფიქრობენ, რომ ეს ჯარი გაიჩოუსკენ მიდის.

ჩიფუ. (რეიტ. სააგ.“). ხუთშაბათს ღამე და პარასკევს დილით რამდენიმე საათის განმავლობაში პორტ-არტურის მხრიდან ზარბაზნების სროლის ძლიერი ხმა ისმოდა.

ირკუტსკი. 10 ივნისს გზათა მინისტრი პეტერბურგს წავიდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ნიუჩუანიდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი მეილ“-ს: წარსულ კვირას რუსებმა ხაიჩენიდან დიდძალი ჯარი გაგზავნეს გაიპინგისაკენაო.

„დეილი ექსპრეს“-ი სწერს: ხმა დადის გენ. კუროკის მეორე დივიზია გაიპინგისაკენ (გაიჩჟოუსაკენ) წავიდა, რომ რუსის ჯარს ზურგიდან დაეცესო.

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი მუკდენზე დეპეშით იუწყება ანდუნიდან: რუსის ჯარი გენერალ კუროპატკინის უფროსობით გენ. კუროკის ჯარის პირდაპირა სდგას ლიაოიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო. („რ. ლ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ლიაოიანიდან: 7 ივნის ღამეს ხაიჩენში ვიყავ. ქვემო მხრიდან საშინელი ზარბაზნის სროლა ისმოდა. ალბად, ან დაშიცაოს სამხრეთით მოხდა ბრძოლა, ან იაპონიის ფლოტმა ხელ-ახლად ზარბაზანი დაუშინა გაიპინგსა და სენიუჩენს, ამის თაობაზე ჯერ სწორე ცნობა არ მოსულაო.

„პეტ. გაზეთ“-ს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: აქ ჰფიქრობენ, მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო.

„ტაიმ“-ს სწერენ ტოკიოდან: გენ. კუროკის რაზმმა ქალ. ხაიჟენსიანი დაიჭირა, რუსის რაზმი განდევნა ამ ქალაქიდან და 300 ცხენოსანი ჩინელი ყაჩაღი გაჰფანტაო. ჩინელი ყაჩაღებიც რუსის რაზმს ეხმარებოდნენო.

„ტაიმ“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: პორტ-არტურიდან ერთი ჩინელი მოვიდა აქა და გვიამბო, რუსებს მხოლოდ 5 ჯავშნიანი გემი და კრეისერი გამოადგებათ საბრძოლველადაო. ესაა ჯავშნიანი გემები „პოლტავა“ და „სევასტოპოლი“ და კრეისერები: „ბაიანი“ და „ნოვიკი“. ზოგი ამბობს, იქნება „პერესვეტ“-იც გამოდგესო. ჩინელი ირწმუნება, ამას წინად ერთ დიდ რუსის გემს იაპონელების ყუმბარა დაეცა და დააზიანაო, მხოლოდ ამ გემის სახელი არ ვიციო. რუსებმა პორტ-არტურს ვეება თხრილი შემოავლესო. („რ. ლ.“).

მანჯურიაში ივნისის ნახევრიდან დიდი გადუღებელი წვიმა დაიწყება. ბევრნი ჰფიქრობენ, ეს წვიმები ხელს შეუშლიან სამხედრო მოქმედებასაო. ფრანგულ გაზ. „ჟურნალ“-ის კორესპონდენტი იუწყება ლიაოიანიდან: წელს გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს ისეთი საშინელი წვიმები მოდიოდა მანჯურიაში, რომ, მცოდნე კაცების აზრით, წელს ზაფხულში ცოტა ხანს გასტანს „წვიმების პერიოდი“, ასე რომ სამხედრო მოქმედება უფრო ნაკლებ ხანს შესწყდება, ვიდრე ჰგონიათო. („ნ. დ.“).

ბრძოლა ვაფანგოუსთან 1 და 2 ივნისს. გენერალმა ოკუმ 6 ივნისს ოფიციალურად დეპეშით მოახსენა იაპონიის მთავარ-შტაბს: 1 ივნისს პულანდიანიდან ზევითკენ წავედით. ჩვენი მარჯვენა კოლონა (რაზმი) მდ. დაშიხეს ნაპირ-ნაპირ მიდიოდა, უმთავრესი კორპუსი რკინის გზის პირ-პირ, მარცხენა ფრთა ფუჩოუს გზით. ბიძივოსა და სუიენცზის შუა ჩვენმა კავალერიამ მტრის მზვერავი რაზმები გაჰფანტა. მარცხენა ფრთა ნანჩუალინში მივიდა, მარჯვენა კოლონა და უმთავრესი კორპუსი ჩაოჩუტუანსა და დაპინგოუში მივიდნენ, ტელისედან (ვაფანგოუდან) 12 მილის მანძილზე; ტაფანშინსა და ლუნკოუს შუა პოზიციებზე დადგნენ და მტერს მოუცადეს. მტრის მოწინავე რაზმი ვანჩჟატუნსა და პანკიუტუნში იყო გამწკრივებული. ჩვენმა არტილერიამ ნაშუადღევის 3 საათზე სროლა დაიწყო და საღამომდე აღარ შეუწყვეტია. ჩვენმა მარჯვენა ფრთამ ვანჩჟუატუნის ჩრდილოეთით რუსებს პოზიციები წაართვა და თითონ გამაგრდა იქა; უმთავრესი კორპუსი დაინგოუს დასავლეთით გაემართა ვოხოტუნისაკენ. მეორე დღეს, დილის $5^1/_2$ საათზე, ხელ-ახლად ავსტეხეთ სროლა. ბრძოლის ველზე ხშირი ჯანყი იდგა. მდინარე ფუჩოუხეს ჩრდილოეთით მტერი მძლავრად მოაწვა ჩვენ უმთავრეს რაზმს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ყველგან მედგარი იერიში მიიტანა მტერზე და სძლია კიდევაც. ერთი ჩვენი რაზმი გაჩქარებით წავიდა ფუჩოუსაკენ და დილის $9_1/_2$ საათზე ვანჩჟატუნის დასავლეთით სიმაღლეები დაიჭირა. ამ რაზმმა დიდი დახმარება გაუწია ჩვენს უმთავრეს რაზმს, მტერზე იერიში მიიტანა და ტაფანშიანისაკენ დაახევინა. ამ დროს მტრის არტილერიამ ლუნკოუსთან საშინელი სროლა ასტეხა, მაგრამ ჩვენი უმთავრესი რაზმი არ შეუშინდა მტრის არტილერიას, რუსებზე იერიში მიიტანა და მაშველ რაზმის დახმარებით მტრის პოზიციები დაიჭირა. მტრის მარცხენა ფრთა მედგრად იცავდა პოზიციებს, ჩვენს მარჯვენა კოლონას გვერდიდან უვლიდა და, ცოტა არ იყოს, საქმეს უჭირვებდა. ორჯელ გავუგზავნე მაშველი რაზმები, მაგრამ მაინც ვატყობდი, რომ ჩვენ კოლონას საქმე

უპირდა. მაშინ ჩვენს კავალერიის რაზმი მიეშველე. კავალერია გაქანდა და მტერს ზურგიდანა და ფრთიდან დაეცა, მაგრამ ამ დროს მტერსაც სარეზერვო რაზმი მოეშველა და საშინელი ბრძოლა და სისხლის ღვრა გაიმართა. ჩვენცა და მტერიც თავგანწირულად ვიბრძოდით. ნაშუადღევის 3 საათზე მტერი დასუსტდა და თავის პოზიციებიდან უკან დაიხია. მარცხენა ფრთაზე ჩვენი რაზმები ფეხ-და-ფეხ მისდევდნენ უკან წასულ მტერსა, მაგრამ გორებმა და ხევებმა ხელი შეგვიშალა. მტერს ამ ბრძოლის დროს 25 ბატალიონი ქვევითა ჯარი, 17 ესკადრონი კავალერია და 89 ზარბაზანი ჰქონდა; მერე კიდევ ბევრი მაშველი ჯარი მოუვიდა. მარტო მარცხენა ფრთაზე 600 მოკლული რუსი ვიპოვეთ. 14 მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი ჩავიგდეთ ხელში, მე 4 პოლკის კომანდირი, 6 აფიცერი და 300 სალდათი დავატყვევეთ. ტყვე რუსის სალდათები ამბობენ, პირველ კორპუსისა და პირველ დივიზიის კომანდირები დაჭრილები არიან, პირველ პოლკის კომანდირი მოკლულია და მე-2 და მე-3 პოლკების კომანდირები მძიმედ არიან დაჭრილებიო. ჩვენი ზარალი: მოკლული და დაჭრილი სულ 900 კაცი იქნება. ამათ შორის 8 აფიცერია მოკლული და 14 დაჭრილი. („მ. ვ.“).

გენ. ოკუ სწერს თავის ოფიციალურ მოხსენებაში: ვაფანგოუსთან რუსებს ბაირაღები, 14 მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი წავართვით და 300 სალდათი 6 აფიცერი და 1 პოლკის კომანდირი (მე-4 ციმბირის პოლკისა) დავატყვევეთო. ბრძოლის დაწყების უმალ იაპონელმა მზვერავებმა დაინახეს, რომ რუსებს იაპონიის ბაირაღი გაეშალათ და ამის გამო ჩვენმა არტილერიამ დროებით სროლა შესწყვიტაო. („რ. ლ.“).

„ლაფანის სააგენტოს“ კორესპონდენტს შეუტყვია, ტოკიოში იაპონელებმა ვაფანგოუსთან 14 ზარბაზანი-კი არა, 20 ზარბაზანი წაართვეს რუსებსაო. („ნ. დ.“).

„ლაფანის სააგენტოს“ პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: ვაფანგოუსთან იაპონელებმა ერთი პოლკის ბაირაღი წაართვეს რუსებს. საშინელი ბრძოლა ასტყდა ამ ბაირაღის გულისათვის. ბოლოს რუსებმა ძლივს დაიხსნეს ეს ბაირაღი, მაგრამ ამ ბრძოლამ 30 რუსის აფიცერი შეიწირა მსხვერპლადაო. („ნ. დ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: ხმა დადის, ვაფანგოუსთან გენ. შტაკელბერგი დასჭრეს და ლიაოიანიდან გენ. კურიოპატკინი თითონ წავიდა შტაკელბერგის კორპუსის საშველადაო. („რ.“).

ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „სევ.-სატელ. სააგენტოს“: რუსის მარცხენა ფრთა მაღალ ადგილას სერზე იდგა და ბძანების თანახმად იაპონელებზე იერიშით წავიდა. სერიდან ძირს ჩავიდა, მერე გაშლილი ველი გაიარა და იაპონელების პოზიციებისაკენ ფერდობზე ადიოდა. იაპონელები მაღალ სერზე იდგნენ, რუსებს ზარბაზანსა და თოფს ესროდნენ და სულ მუსრს ავლებდნენ. რუსები მაინც გულადად ადიოდნენ ფერდობზე; თითქმის შტიკის დასაკვრელად მიუახლოვდნენ იაპონელებს, მაგრამ ამ დროს ბრძანება მიიღეს, უკან წამოდითო. მაშინვე უკან გამობრუნდნენ. იაპონელებმა უკანიდან მიაყოლეს ყუმბარა და ტყვია. რუსებმა ველი გაიარეს, გორებსა და თავიანთ წინანდელ პოზიციებს გასცდნენ: ეგონათ, აქ აღარა გვიჭირს-რაო. მაგრამ ამ დროს წინა გორებიდან წყალივით წამოვიდა ყუმბარა და ტყვია და რუსის პოლკები სულ გააწყო: ეს გორები იაპონელებს დაეჭირათ. რუსები ისე სახტად დარჩნენ, რომ თოფის გასროლა ვერც-კი მოასწრეს. იაპონელი აფიცრებიც თავიანთ ჯარის-კაცების გვერდით იდგნენ და მარტო რუსის აფიცრებს ილებდნენ ნიშანში. იაპონელებმა რუსის მარჯვენა ფრთას ხომ უარესი დღეც დააყენეს. ისე საშინლად დააყარეს ყუმბარა და ტყვია, რომ რუსის წითელ ჯვრის რაზმმა მარჯვენა ფრთაზე თავისი ურმები, საკაცეები და სხვა-და-სხვა ნივთები მიატოვა და ბრძოლის ველს მოშორდა. ერთ ბატარეიას ისე საშინლად დაუშინეს ზარბაზანი, რომ ცხენები სულ გაუწყვიტეს და არტილერისტების მეტი ნაწილი მოუკლეს; დაზიანებული ზარბაზნები რუსებმა პოზიციაზე მიატოვეს. გასაღებები-კი სალდათებმა წაიღეს. („მ. ვ.“).

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი იუწყება: 1 ივნისს ვაფანგოუსთან რუსებმა პოზიციები შეინარჩუნეს და მეტად გახარებულნიც იყვნენ. ყველას იმედი ჰქონდა, რომ პორტ-არტურისაკენ გზას გავიკაფავთო. 2 ივნისს დილით რუსები იერიშის მიტანას აპირობდნენ იაპონელებზე, მაგრამ იაპონელებმა აღარ დააცალეს და თითონ დაეცნენ რუსებს. იაპონიის არტილერიამ რუსის ცენტრს (შუა ჯარს) დაუშინა ზარბაზანი, ქვევითა ჯარმა რუსის მარჯვენა ფრთაზე მიიტანა იერიში. რუსის მარცხენა ფრთა იაპონელების მარჯვენა ფრთას დაეცა. დილის 5 საათზე მეორე და მესამე პოლკების 8 როტა იაპონელების პოზიციებისაკენ დაიძრა. გაშლილი ველი გაირბინა და ხევში ჩაწვა. წინ წასვლა შეუძლებელი იყო, იაპონელები სეტყვასავით აყრიდნენ ყუმბარასა და ტყვიას. მესამე პოლკის კაპიტანმა ხასკინმა სთქვა: ჩემის მეექვსე როტით იაპონელებზე იერიშს მივიტან, თქვენ-კი ამ დროს ყველანი უკან დაბრუნდით, თორემ სულ ერთიანად გაგვწყვეტენო. ხასკინის როტაში აღარც ერთი აფიცერი არა ჰყავდა, ამიტომ ხასკინს სხვა როტიდან გაჰყვა 4 აფიცერი. როტა გაიქცა და იაპონელების სანგრებს 20 ნაბიჯზე მიუახლოვდა. მაგრამ იაპონელებმა ხელად ოთხივე აფიცერი მოჰკლეს და ნახევარი როტა გაწყვიტეს; თითონ კაპიტანი ხასკინიც მუცელსა და ხელში დასჭრეს. კაპიტანი რომ დაეცა, სალდათები მაშინვე დედამიწაზე გაწვნენ და უუფროსოდ წინ აღარ წავიდნენ. ვინც გადარჩა ამ მეექვსე როტიდან, როგორც იყო, ხევში ჩაგორდნენ და ხევ-ხევ გაიქცნენ. დაჭრილი კაპიტანი ხასკინი მარტოკა წამოვიდა, სალდათები არ მიიშველია. შტაბს-კაპიტანმა შაროხოვმა, ორის ტყვიით დაჭრილმა, 8 ვერსტი გაიარა ფეხით. სხვა დაჭრილებმა 20 ვერსტიც გაიარეს ფეხით რკინის გზამდე. იქ ვაგონებში ჩასხეს და იარები შეუხვიეს. უკან რომ დაიხიეს, რუსებმა სადგური ვაფანგოუ თითონ დასწვეს.

ახალი ამბავი

◆ პ. უმიკაშვილის დეიდას ქ-ნ ეკატერინე კაკალაშვილს განსვენებულის პ. უმიკაშვილის **ბიბლიოთეკა შეუწირავს „წ.-კითხვის საზოგადოებისათვის“.**

◆ უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია, დააარსოს ბათუმში საოლქო **საქარხნო და სამთა-მადნო საქმეთა საკრებულო.** ფინანსთა მინისტრის მოხსენება ამ საგნის შესახებ უკვე წარედგინა სახელმწიფო საბჭოს.

◆ როგორც „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო იუწყება, 6 ივნისს ვაფანგოუსთან მომხდარ ბრძოლაში **მოუკლავთ პოდპოლკოვნიკი აბულაძე.**

◆ 17 ივნისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე სომხების თათეოზ აკოფოვისა, ისაკ ცატუროვისა, აკოფ პოლოსოვისა, ტერ სტეფან გულუმოვისა და სხვათა, რომელთაც ისა ჰბრალდებათ, რომ შარშან **სომეხთა საეკლესიო მამულების ჩამორთმევის** დროს მთავრობის მოხელეებს წინააღმდეგობა გაუწიეს.

◆ **ელექტრონის ტრამვაისთვის** უსახელო საზოგადოებას სასახლის ქუჩაზე ორი ლიანდაგი უნდა გაეყვანა. ეხლა, გუბერნატორის წინადადების თანახმად, უსახელო საზოგადოება ერთ ლიანდაგს ლორის-მელიქოვის ქუჩაზე გაიყვანს, რადგან სასახლის ქუჩაზე დიდი სივიწროვეა. ლიანდაგი გოლოვინსკიდან მუზეუმის გვერდით ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ჩაივლის, პუშკინის ბაღს აუვლის და ერევნის მოედანზე მივა.

◆ ტფილისის მაზრის **სოფელ საგარეჯოს** საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მთავარმართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ მთავრობამ დახმარება გაუწიოს თვალთ ხევის გასამაგრებლად, რომელიც სოფელს ჩამოუდის. 1888 წლიდან 1904 წლამდე ამ ხევმა მთლად გაანადგურა 120 კომლის ქონება. წაულეკია ბაღები, ვენახები და ყანები. იქ, სადაც წინად მშვენიერი ნოყიერი მიწა იყო, ხევის წყალობით დღეს ქვები და ქვიშაა მხოლოდ. რამდენისამე წლის განმავლობაში სოფელს 150,000 მანეთის ზარალი მოსვლია. ერთი ნაწილი მცხოვრებთა აიყარა და ქალაქში გადასახლდა. ეხლა ხევს ხელახლა კალაპოტი უცვლია და ახალ უბედურებას უქადის სოფელს. თუ წყალი მოდიდდა, წაიღებს ორს ეკლესიას, დაანგრევს ორკლასიან სამინისტრო სკოლას, სოფლის სამკურნალოს და წალეკავს 800 კომლის ეზოებსა და სახლებს, საყანე, საბაღე და სავენახე ადგილებს. სოფელი სთხოვს მთავარმართებელს, განკარგულება მოახდინოს, რომ შესდგეს ტეხნიკოსთა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს ხევის კალაპოტში გადაგდება და გამაგრება. სოფელი თანახმაა მიაწოდოს მუშა ხელი და ხარ-ურემი.

◆ მანგლისსა და პრიუტში ამ ჟამად მუშაობს სახელმწიფო გლეხების მომწყობი დასი, რომელიც ადგენს ადგილების გეგმებს. რადგან ამ ადგილებზე უნდა გამოიყვანონ **წყალი წალკიდან** და დასის მიერ შედგენილი გეგმები გამოსადეგია, ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს, ნება მისცეს ინჟენერ მეცს, ისარგებლოს შეკრებილ ცნობებით.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს განსაკუთრებულმა კომისიამ 11 ივნისს მიიღო პროექტი ინჟენერ-ტეხნიკოსის საგრაგანსკისა **ახალ საყასბოს** შენობის შესახებ. კომისიამ დაადგინა, დაავალოს ავტორს პროექტის ზოგიერთ ტეხნიკურ ნაწილის შესწორება.

◆ 10 ივნისს ალექსანდროვის ბაღში მუშები უკვე შეუდგნენ შენობის აგებას **პუშკინის სახელობის** სამკითხველოსთვის.

◆ ტფილისის **რეალური სასწავლებელი** წელს დაასრულა 42 კაცმა. ოთხი ქართველია: დავით ედილაშვილი, ელიზბარ კარბელაშვილი, ნიკოლოზ სუმბათაშვილი და ნიკოლოოზ გოგიტიძე.

◆ გუშინ **გუბერნატორმა აცნობა** ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტება. ამ განმარტებით, ქალაქს ნება აქვს 10 წლის შემდეგ მიიღოს ის ფული, რომელიც გამსესხებელ კასსებში დაგირავებულ ნივთების გაყიდვის შემდეგ დარჩება და რომელსაც პატრონი არ აღმოუჩნდება.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ნახატებიანი კრებული „მოლაღური“. ვბეჭდავთ აქვე კრებულის შინაარსს:

1) მოლაღური ლექსი, ხოსროსი;—2) კრუხი და წიწილები (ლ. ტოლსტოისა). —3) არწივი თარგმანი).—4) გმირი ძაღლი (თარგმანი) ტასოსი. —5) მურია მოთხრობა, გ. ბოკერიასი. 6)—დომის სიკვდილი ზღაპარი (ფრანგულიდან), ალ. სარაჯიშვილისა.—7) სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია (გადმოღებული), ან. წერეთლისა·—8) ბეტას ხსოვნას, აკაკისა.—9) „მეფეს სძინავსო“ (თარგმანი), ს. ციციშვილისა.— 10) თაგვი (ბაგდანოვისა), თარგმანი ალ. ნ—ძისა. —11) იაპონელთა ბავშები, ათაბეგისა. —12) წვრილმანი: ანდაზები, შარადა, ჩქარა გამოსათქმელი, სიტყვების ამოცანა და სახუმარო კითხვები.

◆ როგორც გუშინ ვწერდით, ტფილისის ქალაქის ლომბარდიდან ლომბარდის მსახურმა სტადნიკოვმა მოიპარა ძვირფასი ნივთები. ამ რამდენისამე თვის წინად ლომბარდის გამგეს შეუტყვია, რომ ვიღაცას მოეპარა ორი ძვირფასი ბრილიანტი, 1750 მანეთად ღირებული. ამასთან შეუმჩნევია, რომ სტადნიკოვი უცნაურად იქცეოდა. შემდეგ უთხოვნია, ჯამაგირი მომეცით, რუსეთში უნდა დავბრუნდეო. თუმცა დაუთხოვნიათ, მაგრამ სტადნიკოვს რუსეთში წასვლის ნაცვლად ბინა გამოუცვლია მხოლოდ. ერთ პოლიციელისათვის უბრალო ტანისამოსი ჩაუცმევიათ და მიუნდვიათ ყური ეგდო სტადნიკოვისათვის. ეჭვი იმდენად გაძლიერებულა, რომ 10 ივნისს კიდეც გაუჩხრეკიათ იმისი სახლი და აღმოსჩენია ნივთების საგირავნო ფურცლები, კვიტანცია ივანოვის გამსესხებელ კასისა და ერთი საგულე ნალის მზგავსად გაკეთებული, რომლიდანაც უკვე ამოღებული იყო ბრილიანტები. სტადნიკოვი გამოტეხილა დანაშაულში და განუცხადებია: ორი ბრილიანტი დავკარგე, ერთი დავაგირავე ივანოვის კასაში და ორიც გარეშე პირთა შემწეობით ისევ ლომბარდში დავაგირავეო. ამას გარდა მოუპარავს ორი დიდი ბრილიანტი, 1750 მან. ღირებული. ქურდი დააპატიმრეს.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 227.** შინაარსი: „დამნაშავე“ (შემდეგი), ნინო ნაკაშიძისა; სურათები: ვიცე-ადმირალი პ. ა. ბეზობრაზოვი, ცინჩოუს ბრძოლა, რუსის დაჭრილი ჯარის-კაცი იაპონელთა საავადმყოფოში და ორი კარიკატურა.

თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

გუშინ, 12 ივნისს, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა.

კრებას წარედგინა ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის 1903 წლის წმინდა მოგების განაწილების პროექტი. სულ გასანაწილებელი იყო: 1) საზოგადო საჭიროებათა თანხისა —123. 725 მან. 8 კაპ., 2) ექსტრაორდინალი თანხისა—17. 675 მ. 1 კაპ. და 3) შარშანდელ ხარჯთ-აღრიცხვიდან დარჩენილი —2880 მან; სულ—144. 280 მან. 9 კაპ.. პროექტით აქედან უნდა გადაიდოს: 1) თავად-აზნაურთა შარშანდელ კრების დადგენილების თანახმად, მოგების 10% სამოქმედო თანხის შესადგენად, ესე იგი, 14.140 მან.. 2) ტფ. სათავათ-აზნაურო სკოლის შესანახად 81.259 მან. 64 კაპ. (შარშან ამ საგანზე გადადებული იყო 78.184 მ. 19 კაპ.); 3) სტიპენდიებზე უმაღლეს სასწავლებლებში 24.000 მან. (შარშანაც ამდენივე იყო); 4) საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადასახდელად ღარიბ თავად-აზნაურთათვის—5920 მან. 45 კ. (შარშან ამისთვის გადაიდო 6146 მან. 50 კ.); 5) წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის შესანახად—5000 მან. (შარშანაც ამდენივე იყო); 6) გორის ქალთა პროგიმნაზიის საჭიროებათათვის—1000 მან. (იმდენივე, რამდენიც შარშან); 7) წმ. ნინოს ტფილისისა და თელავის სასწავლებელთათვის—2000 მან (შარშანაც ამდენი იყო); 8) სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათათვის 1500 მან. (შარშან იყო 3000 მან.) და 9) დეპუტატთა საკრებულოს შესანახად დამატებით თანხისათვის 3600 მან. (შარშანაც ამდენივე); სულ 138.420 მან. 9 კაპ.; მაშასადამე რჩება 5860 მანათი.

ამ პროექტთან ერთად თავად-აზნაურობას მოხსენდა დეპუტატთა საკრებულოს წინადადება იმის შესახებ, რომ ხარჯთ-აღრიცხვიდან გადარჩენილი 5860 მან. და სამოქმედო თანხის 14.140, სულ 20 ათასი მანეთი, სესხად მიეცეს სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს ვერაზე სასკოლო შენობის საჭიროებისათვის.

ამ მოხსენებათა წაკითხვის შემდეგ ბ-ნ მიხ. გედევანიშვილმა განაცხადა, რომ მოგებათა განაწილების პროექტიდან სჩანს, თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს არ მიუქცევიათ ყურადღება იმ თხოვნისათვისო, რომლითაც დეპუტატთა საკრებულოს მიჰმართა ამას წინად გუბერნიის ორმოცმა თავადმა და აზნაურმა; ესენი თხოულობდნენ, „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, იმის არსებობის 25 წლის იუბილეის აღსანიშნავად, მიეცეს შემწეობა თავად-აზნაურობისაგანაო. ბ-ნ გედევანიშვილს ჰსურდა გაეგო რა დაადგინა ამ თხოვნის შესახებ თავად-აზნაურთა წინამძღოლების საკრებულომ. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საკრებულომ მოსახერხებლად ვერ სცნო იმ თავად-აზნაურთა თხოვნის წარმოდგენა კრებისათვის, რადგან „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება“ წოდებრივი დაწესებულება არ არისო. მიუხედავად ამისა, საგანგებო კრებამ მოისურვა ამ საგნის განხილვა და თავმჯდომარემაც ნება დართო. თავ. ა. ნ. დიასამიძემ, ი. გ. რატიშვილმა, ვ. ს. მუსხელაშვილმა, მ. ა. გედევანიშვილმა და სხვათ მხარი დაუჭირეს ხსენებულ 40 თავად აზნაურის თხოვნას და საჭიროდ სთვლიდნენ—თავად-აზნაურობამ შემწეობა აღმოუჩინოს ისეთ დიდ-მნიშვნელოვან დაწესებულებას, როგორიც არის „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება“. დანარჩენებიც არ აცხადებდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ ამბობდნენ, რომ მოგება უკვე განაწილებულია და თავად-აზნაურობას სხვა სახსარი არა აქვს აასრულოს ეს წინადადებაო. ამაზე ა. ნ. დიასამიძემ და ი. გ. რატიშვილმა შეჰნიშნეს, რომ თავად-აზნაურობას წინად, როცა რაიმე საქმისათვის ფულის გადადება იყო საჭირო, ადვილად გამოუძებნია სახსარი, თუნდაც ის საქმე სრულიად არ ყოფილიყოს ისეთი ღირს-შესანიშნავი, როგორიც არის წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შემწეობის აღმოჩენა. ამისათვის საჭიროა კრებამ სურვილი გამოსთქვას და აღნიშნოს შესაწირავი თანხა, ხოლო სახსარის გამოძებნა თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების საკრებულოს დაევალოსო. შემდეგ გაიმართა კამათი ამ სახსარის გამო და აგრეთვე იმ ფულის რაოდენობისა, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ უნდა

გადიდვას. თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი იმ აზრისა იყო, რომ მოაკლდეს რამდენიმე ათასი მანათი იმ თანხას, რომელიც დანიშნულია სკოლის შენობისთვის გადასადებად; მ. ა. გედევანიშვილი შესაძლებლად სთვლიდა მოაკლდეს 920 მან. იმ შემწეობას, რომელიც საშუალო სასწავლებლებში უნდა იქმნეს შეტანილი სწავლის ფულად (ხარჯთ-აღრიცხვის მე-4 მუხლი) და ამას მიემატოს ის 1500 მანათიც, რომელიც სხვა და სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებათათვის არის დანიშნული (ხარჯთ-აღრიცხვის მე-8 მუხ.); ზოგიც შესაძლებლად სთვლიდა სესხის აღებას და სხვა. ბოლოს, თავ. ა. ნ. დიასამიძის წინადადებით, კრებამ გადასწყვიტა: გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას 4000 მანათი თავად-აზნაურობისაგან, ნიშნად პატივისცემისა ამ დაწესებულებისადმი და იმის 25 წლის იუბილეის სახსოვრად; ხოლო ეს ფული აღებულ იქმნას ავანსად თავად-აზნაურთა ქარვასლის მომავალ მოგებიდან.

ამის შემდეგ კრებამ უცვლელად დაამტკიცა წარმოდგენილი პროექტი მოგების განაწილებისა და მიიღო ზემოდ აღნიშნული წინადადება სკოლის შენობის საჭიროებისათვის 20 ათას მანათის გადადების შესახებ.

შემდეგ ა. ნ. ფურცელაძემ ასეთი წინადადება წარუდგინა კრებას: თავად-აზნაურობა ყოველ წლივ 24 ათასი მანათის სტიპენდიებს აძლევს უმაღლეს სასწავლებელში მყოფ ახალგაზდებს; ეს თუმცა თვალსაჩინო შემწეობაა, მაგრამ სასურველია გავაძლიეროთ ის ფონდი, რომლითაც დახმარებას ვუწევთ მოსწავლე ახალგაზდობას; ამისთვის საჭირო არის თავად-ზნაურობამ სავალდებულოდ გახადოს, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტიპენდიანტებმა ნაწილ-ნაწილ დააბრუნონ სწავლის დროს მიღებული შემწეობა. ამ წინადადებას სხვებმა ისიც დაუმატეს, რომ ურიგო არ იქნება სტიპენდიები დაინიშნოს მოსწავლეთა საზღვარგარედ გაგზავნისათვისაც, მით უმეტეს, რომ სათავად-აზნაურო სკოლის კურს-დამთავრებულთ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო მეტად გაუძნელდათ რუსეთის უნივერსიტეტებში შესვლა და იძულებულნი არიან საზღვარგარედ ისწავლონო. თავმჯდომარის წინადადებით, ამ განცხადებათა გადაწყვეტა გადიდვა თავად-აზნაურთა მორიგ კრებამდე; იმ დროისთვის ეს საქმე უნდა განიხილოს და იმის გამო მოხსენება უნდა შეადგინოს იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს სტიპენდიების განაწილების საქმეც.

ამის შემდეგ თავად-აზნაურთა საგანგებო კრება დაიხურა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „ნოვ. ვრემია“ იუწყება, ჩვენ რედაქციაში მოგვიტანეს განსვენებულ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის საკუთარის ხელით დაწერილი წერილი, რომლითაც იგი უთვლიდა ერთ თავის მეგობარს პეტერბურგში, ფინლიანდიაში საქმეთა ვითარების შესახებ იმდენად დამშვიდებული ვარ, რომ დროებით, ორი თვის ვადით, მინდა სამსახურს თავი დავანებო და ჩემ მამულში, ნოვგოროდის გუბერნიაში, წავიდე დასასვენებლად. ფინლიანდიის სენატთან კარგი დამოკიდებულება მაქვსო. როგორც დეპეშებმა გვაუწყეს, გენერალ-ადიუტანტ ბობრიკოვს ესროლეს სენატში რევოლვერი, საიდანაც იგი თავის სახლში გადაიტანეს. „ნოვ. ვრ.“-ს ცნობით დაჭრილთან დაუყოვნებლივ მოიყვანეს ცნობილი ხირურგი (დოსტაქარი) ბონსდორფი. უკანასკნელს უთქვამს, სახლში ოპერაციის გაკეთება შეუძლებელია და დაჭრილი კლინიკაში უნდა წაიღოთო. კლინიკაში რომ მიიტანეს, დასაწოლი ადგილი მზად არ ყოფილა და 15 წუთი უნდა ეცადათ. დაიბარეს ოპერაციის გასაკეთებლად ხირურგი ბონსდორფი, რომელიც ამ დროს საუზმეს სჭამდა, 20 წუთის შემდეგ მოვიდა და განაცხადა, დაჭრილს ვერ გავუკეთებ ოპერაციას, რადგან ჩემ კლინიკაში, დანიშნულებისამებრ, სხვებს უნდა გავუკეთო ოპერაციაო. დაჭრილ გენერალ-გუბერნატორს ოპერაცია უცნობმა ექიმმა კროგიუსმა გაუკეთა. ამასობაში გენერალ-ადიუტანტმა ბობრიკოვმა ბევრი სისხლი დაჰკარგა, რამაც, რასაკვირველია, დააჩქარა იმისი სიკვდილი.

◆ მოსკოვის მომრიგებელ სასამართლოში ერთი საყურადღებო საქმე გარჩეულა. გაზ. „რუსკოე სლოვოს“ ხელის მომწერი ქ-ნი ლაკენეცკაია უჩიოდა გაზეთის რედაქტორს: „რუსკ. სლოვო“-ს განცხადებებს დავუჯერე, რომლებშიაც ეწერა, რომ გაზეთში თანამშრომლად იქნება ცნობილი მწერალი დოროშევიჩი, და გამოვიწერე „რუსკ. სლ.“-ო. ქ-ნ ლავენეცკაიას თხოვნით სასამართლოს უნდა გადაეხდევინებინა გაზეთის რედაქტორ სიტინისათვის 6 მანეთი, ამ ქალისაგან შეტანილი, რადგან დოროშევიჩს მიმდინარე წლის იანვრიდან არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია გაზეთში. სიტინის ვექილი ამტკიცებდა საქმის განხილვის დროს, რომ გაზეთი მოვალე არ არის სიტყვა-სიტყვით აასრულოს თავისი დაპირება. ზოგჯერ საქმის გარემოება ხელს უშლის გაზეთს, აბრკოლებს განზრახვის ასრულებას. ხელის მომწერმა უნდა მიაქციოს ყურადღება გაზეთის საზოგადო ხასიათს, იმ გარემოებას, თუ რამდენად სცდილობს რედაქტორ-გამომცემელი გააუმჯობესოს თავისი გაზეთი. მართალია, დოროშევიჩი არაფერს სწერს „რუსკ. სლ.“-ში, მაგრამ მაინც ითვლება ამ გაზეთის თანამშრომლად, ინდოეთში იყო ადგილობრივ საქმის გარემოების გასაცნობლად, რადგან შესაძლებელია, რომ რუსეთ-იაპონიის ომმა სხვა-და-სხვა ნაირი ცვლილება გამოიწვიოს ინდოეთშიო. ამ ჟამად კი დოროშევიჩი ბრუნდება რუსეთში. ის გარემოება, რომ „რუკ. სლ.“-ს გამომცემელს საკუთარი კორესპონდენტი ჰყავს ბრძოლის ველზე, ცნობილი მწერალი ნემიროვიჩ-დანჩენკო, რომელსაც თვეში 9 ათასი მან. ჯამაგირი ეძლევა, ნათლად მოწმობს, რომ გამომცემელი არაფერ ხარჯს არ ერიდება გაზეთის გაუმჯობესებისათვისაო.

სასამართლომ უარ-ჰყო ქ-ნ ლავენეცკაიას საჩივარი. ამას შემდეგ სიტინის ვექილმა განაცხადა, მზადა ვართ დავუბრუნოთ ქ-ნ ლავენეცკაიას მისგან შემოტანილი ფულიო, რაზედაც ამ უკანასკნელის ვექილმა უარი განაცხადა.

◆ კიევის ექიმთა შორის განხეთქილებაა. ექიმები ორ ბანაკად გაიყვნენ. ვიწრო შოვინისტთა ბანაკი ამტკიცებს—იაპონელთაგან ამას წინად ტყვედ წაყვანილ რუსის ექიმს არ ჰქონდა უფლება ეწამლა იაპონელთათვის, (გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ექიმი დასთანხმდა იაპონელთა თხოვნაზე და იაპონელ დაჭრილთ სწამლობსო) ეს სამშობლოს გაცემაა,—ღალატიაო; ექიმი განკურნავს ჩვენ მოსისხლე მტერს, ფეხზე დააყენებს ჩვენ მოწინააღმდეგეს, რათა ისევ შეგვებრძოლოსო. წრეს-გადასულ, ულმობელ შოვინისტ ექიმებს სამართლიანად უპასუხეს, რომ ქრისტიანული გრძნობა ავალებს ადამიანს დაეხმაროს თავის მოყვასს გასაჭირში, იმის მიუხედავად, მტერია ჩვენგან დახმარების მთხოვნელი თუ მოყვარე. რუსეთის პრესსამ არა ერთხელ აღუნიშნავს სიამოვნებით, რომ იაპონელები გულმტკივნეულად, თანაგრძნობით ეკიდებიან და უვლიან დაჭრილებს. სჩანს, იაპონელებიც ღალატობენ თავისს სამშობლოსაო.

◆ სამხრეთ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ სამხრეთის მხარეზე ბევრ მუშას მოუყრია თავი სამუშაოს საძებრად; ვერ შოულობენ სამუშაოს და შიმშილს ითმენენ. მაგალითად, ქ. ნიკოლაევსკში ყოველ დღე 2 ათასი მუშა მოდის; მუშები ბინას ვერ შოულობენ და ღამეს მინდორში ათევენ, რის გამო მათ შორის სხვა-და-სხვა ნაირი სნეულება გაჩენილა.

◆ ვარშავის ცხენის რკინის გზის გამგეობას ამ ბოლო დროს ერთი კეთილი წესი შემოუღია. სიცხეში დანიშნულ ადგილას დარაჯებს ჰგზავნის, რომლებიც წყლით გაჟღენთილ ღრუბლებით უგრილებენ ცხენებს თავსა და ნესტოებს. ამ განკარგულებას უკვე კარგი შედეგი მოჰყოლია. ცხენები უფრო მეტსა და უფრო მარჯვედ მუშაობენ თურმე.

◆ გაზ. „კურიერ“-ის რედაქტორ-გამომცემელი აცხადებს, რომ, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, გაზეთის გამოცემა მოკლე ვადით შეჩერებულ იქნებაო. გამოცემის განახლებას თავის დროზე აცნობებენ ხელის მომწერთ.

◆ ბევრ საფოსტო დაწესებულებაში ფულისა და სხვა კორესპონდენციების მიმღებთ პოლიციისაგან აღებულ მოწმობებს სთხოვდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით ეს წესი ამიერიდან გაუქმებულია და კორესპონდენციის მიმღებთ მხოლოდ პასპორტებს მოსთხოვენ.

◆ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ მთავრობამ ნება დართო ებრაელთ ბინადრობა იქონიონ რუსეთის საზღვრებიდან 50 ვერსის მანძილზე. ებრაელებს კონტრაბანდის მოსასპობლად აუკრძალეს საზღვრების ახლოს ცხოვრება. შემდეგ კი გამოირკვა, რომ ეს აკრძალვა ყველაზე უფრო მძიმედ დააწვა უდანაშაულო ხალხს, რომელსაც ბრალი არ ედო კონტრაბანდის ზიდვაში; კონტრაბანდისტები კი დღესაც თავისას არ იშლიან, თუმცა საზღვრებიდან მოშორებით ცხოვრობენ. („ს.-პეტ. ვედ.“).

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს საშუალო სამეურნეო სასწავლებელთა გაფართოვება. არსებულ სასწავლებელთ უნდა მიუმატონ ახალი კლასები, მეტ მოწაფეებს მიიღებენ, გაამრავლებენ მასწავლებელთა რიცხვს და სხვ. პროექტი ომის დასრულების შემდეგ უნდა განახორციელონ.

წერილები

ხოფ. ლესიჭინე (სამეგრელო). ჩვენში წრეულს მაისის სიცივემ ხეხილი სულ გააქრო. დადგა ივნისი და სიმინდის ჩრჩილმაც იჩინა თავი. წარსულ წლებში თუ ივლისიდან იწყებდა პეპელა სიმინდიდან გამოსვლას, წრეულს ივნისიდანვე დაიწყო. გაზეთებში სწერდნენ გოგირდის ნახშირმბადით უწამლეთო. „ცნობის ფურცლის“ მე-2372 ნომერშიაც დაიბეჭდა მოკლე დარიგება. გაზეთებს სოფელში ვინ იღებს? რუსეთ-იაპონიის ომმა მკითხველებს ეხლა ცოტა მადა გაუხსნა, თორემ წინად ოც სოფელში ერთ ქართულ გაზეთს ვერ ნახავდით. კარგი იქმნებოდა, სიმინდის ჩრჩილის წამლობა გაეცნოთ ხალხისათვის სოფლის მასწავლებლებს და მღვდლებს. ხალხი ზამთარში, როცა ჩრჩილს არა ჰხედავდა, იმას იძახდა: შეიძლება თავის თავად ამოსწყდესო, ეს-კი იმისთანა მტერია, რომელიც თავის თავად არ მოგვშორდება. ფრიად სასარგებლო საქმეს იზამენ, თუ აუხსნიან ხალხს, რომ წამლობაა საჭირო. ამისათვის ადვილად შეუძლიანთ მასწავლებლებს და მღვდლებს შეიძინონ ბ-ნ ტიმოფეევის წიგნი, სადაც დაწვრილებითაა განმარტებული ჩრჩილის წამლობა. სოფლის მარჩიელებს რომ ეთქვათ, ჩრჩილს ისე უნდა წამლობა, როგორც ტიმოფეევი გვარიგებსო, უფრო დავუჯერებდით და ყველა უეჭველად ისე მოიქცეოდა. კერძოდ მე ვუწამლე ოც-ფუთამდე სიმინდს გოგირდის ნახშირმბადით და არაფერი არ გაჩენია ჯერ-ჯერობით; იმას-კი, რომლისთვისაც არ მიწამლია, კიდევაც გაუჩნდა. თუ გნებავთ გაგაცნობთ როგორ მოვიქეცი. თებერვალში ჩავყარე ჭურში სიმინდი (ჩვენ, მეგრელებს, ჭური ბევრი გვაქვს. უწინ უკანასკნელ მოსახლეს სამოცი-ასი „კოკა“ (ერთ ფუთ-ნახევარი) ადესის ღვინო მოგვდიოდა, ეს ოთხი ხუთი წელიწადია გაჰქრა). ჩავასხი შიგ გოგირდის ნახშირმბადის (ყოველ აფთიაქში იყიდება, გირვანქანახევარ მანეთად ღირს და ჰყოფნის ოც-ოცდა-ათ ფუთ სიმინდს). ჭურის თავზე მიწა მოვაყარე, რომ წამლის სუნი არ ამოსულიყო, და გავაჩერე ორ დღეს; მერე სიმინდი ამოვიღე და კვლავ გავიმეორე. მე ვუწამლე როგორც ტაროს, ისე მარცვალს და ორივე კარგი გამოდგა.

შარშან ჩვენში მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. ეხლავე შეუდგნენ სიმინდის ყიდვას. თითო ფუთი სიმინდი სოფლად 60-70 კაპეიკად იყიდება. სენაკში საზღვარ-გარედ გასატანად ვაჭრები ნახევარ მანეთად ყიდულობენ. ეს ძალიან იშვიათი წელიწადია, რომ ჩვენში ივნისიდან სიმინდი ვინმეს შემოჰკლებოდეს. წრეულს კი ახლავე შეუდგნენ ყიდვას. ოთხი თვე კიდევ დარჩა ახალ მოსავლამდის. ყველას აბრეშუმის მოსავლის იმედი აქვს. მაგრამ ვინ იცის, როგორი იქმნება. ზოგიერთ ვაჭრებს შეუმოწმებელი თესლი დაერიგებინათ და ამან იმედი გაუცრუვა ხალხს. კარგი მოსავალიც რომ იყოს, ჩარჩებმა ხმა დააგდეს, აბრეშუმის ფასი ნაკლები იქმნებაო. ესეც არ იყოს, აბრეშუმით რამდენ რამეს გაუძლვენ! ქურდობაც, სხვა უბედურებასთან, ხშირია. დაკარგულ საქონლის პატრონმა თუ სამის დღის განმავლობაში საქონლის ფასის ნახევრის გადახდა მოახერხა, დაკარგულს იპოვის, თუ არა ოცდა-ხუთი დარაჯით ერთ წელიწადსაც რომ ეძებოს, კვალსაც ვერ მიაგნებს. ჩვენ სოფელზე გზა მიდის ახალ-სენაკიდან მუხურამდის. ამ გზის რიგიანად გაკეთება მთავრობამ გადასწყვიტა აგერ ოთხხუთი წელიწადია, გეგმაც შეადგინეს და დამტკიცებულია, მაგრამ გზის კეთება კუს ნაბიჯით მიდის.

პ. დგებუაძე.

—

სამტრედია (იმერეთი). ამას წინად ბ-ნ მაისურაძის თავჯდომარეობით მოხდა აქაური შემნახველ-გამსესხებელ კასის ამხანაგობის წევრთა წლიური კრება. პირველად კრებას მოხსენდა 1903 წ. ანგარიში, რომელიც კრებამ მიიღო. როგორც მოხსენებიდან აღმოჩნდა, ხსენებულ წელს ამხანაგობას ჰყოლია 267 წევრი, საწევრო ფული ჰქონია 13,047 მ. და 24 კ., სათადარიგო თანხა—541 მ. და 99 კაპ. მობარებული ფული (ვადიანი და უვადო)—13601 მ. და 94 კ. გადაუბრუნებია—54,118 მ. და 11 კ. და მოუგია 2031 მ. და 85 კ. ამ მოგებიდან გადადებული იქმნა სათადარიგო თანხისათვის—203 მ. და 20 კ., წითელ ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ 100 მ. და შარშან გადაცვლილ ამხანაგობის წევრის ერ. გაგუას ქვრივ-ობლების საჩუქრად 46 მ. დანარჩენი მოგება მიუმატეს წარსულ წლების მოგებას, რომლითაც, კაი ხანია, რაც ამხანაგობას განძრახული აქვს შემნახველ-გამსესხებელ კასისათვის შეეძინა საკუთარი მიწა და შენობა, სადაც, გარდა კასისა, უნდა მოთავსებულიყო აქაური უფასო სამკითხველო და თეატრიც. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმე კრებამ ვერ განახორციელა, ზოგიერთ პირად ინტერესებით გატაცებულ ვაჟბატონების წყალობით და მოგებულ ფულიდან ყველა წევრმა თავის ხვედრი წილი ფული გაიტანა. ამხანაგობისთვის რამდენსამე კაცს შემწეობა თხოვნა, სხვათა შორის, ერთ სტუდენტს. მაგრამ ამხანაგობამ ყველა უყურადღებოდ დასტოვა. უარი უთხრეს აგრეთვე დაბის დარაჯებს, რომელთაც საჩუქარი ეთხოვათ. ხსენებულმა კრებამ აქაურ უფასო სამკითხველოსათვისაც არაფერი გაიმეტა. კრებამ გამოცვალა გამგეობის წევრი ბ-ნი ივ. კოპალეიშვილი, რომლის მოადგილეთაც დააყენა ბ-ნი ალ. კორძაია. აგრეთვე წევრების მიმღებ კომიტეტის წევრნიც გამოცვალეს, გარდა ბ-ნ თ. პაპავასი. კრებამ გამგეობის წევრებს ჯამაგირები დაუნიშნა: კასირს ბ-ნი ქართველიშვილს 120 მ. და ბ-ნთ კ. ბახტაძეს და ალ. კორძაიას თითოს 160 მან. კრებამ დაადგინა ამხანაგობიდან ყველა წევრმა ერთნაირად გაიტანოს სესხი, ე. ი. 150 მან. მეტის გატანა აღარავის შეეძლოსო. დღემდის კი ამხანაგობიდან ზოგი სიმდიდრით და ზოგიც პროტექციით სარგებლობდა: ზოგს 300 მან. გაჰქონდა და ზოგი კი 150 მან. ვერ შოულობდა გასატანად. ამის გამო კრებაზე ერთი აურ-ზაური ასტეხეს: როგორ თუ ჩვენ, მდიდრებთან ღარიბებმაც ერთნაირად უნდა გაიტანოს სესხი, ჩვენ გავალთ ამხანაგობიდანაო და სხვა.

მგზავრი

—

კუდარის ხეობა (რაჭა). კუდარის ხეობაში ცხოვრობენ ოსები. სულ ხეობაში თხუთმეტი სოფელია, სადაც ირიცხება 340 კომლზე მეტი მოსახლე. აქაური ოსები მშრომელი ხალხია, ხვნა და თესვა, პირუტყვის ყოლა და მოვლა ძლიერ უყვართ. აქაური ოსები ყველანი მესაკუთრენი არიან, დიდი ხანია, რაც შეისყიდეს მამული მებატონეთაგან. კუდაროში სახნავი მიწა მცირეა, ამიტომ წლამდის საყოფი პირნახული არ მოსდით, ნათესებს ხშირად სეტყვა ანადგურებს და ნიაღვრები ლეკავს. ოსები უმეტეს ნაწილად გორის მაზრაში ყიდულობენ პირნახულს, ვინაიდან იქ უფრო იაფად შოულობენ სიმინდს და ქერს; მაგრამ აქაც ხელს უშლის საძაგელი გზები და ხიდები. კუდარის ოსნი ლაპარაკობენ ოსურს ენაზე, მაგრამ ქართულიც კარგად იციან, რადგან რაჭველებთან და იმერლებთან ხშირი მსვლელობა აქვთ. იშვიათად შეჰხვდებით კუდაროველ ოსს, რომელმაც ქართული არ იცოდეს. კუდარის ხეობა ერთ საზოგადოებას შეადგენს. ეს რვა წელიწადია, რაც აქ ერთ კლასიანი სასწავლებელი დაარსდა. მასწავლებელი გულმოდგინედ ეკიდება სწავლის საქმეს. მაგრამ, სამწუხაროდ, თვით ოსები ბეჯითად არ ეკიდებიან სწავლას, თუმცა ნიჭიერი ხალხი კია. მხოლოდ ზამთრობით 5—6 თვეს ჰგზავნიან შვილებს სასწავლებელში. ამ სკოლაში კურს დამთავრებული სწავლას აღარ აგრძელებს სიღარიბისა გამო და რაც ისწავლა, ისიც ავიწყდება. 30 მაისს კუდაროში ორი ოსი მოკვდა უეცარის სიკვდილით. აი საქმე როგორ იყო: სოფელ სისპატნას მცხოვრები გლეხი მიხეილ ხუბეჯაშვილი წავიდა თავის სახლიდან სოფელს ჩასავლისაკენ საწვრილმანოს დუქანში სავაჭროდ. დილით კარგი ამინდი იყო, შუადღის დროს მოიღრუბლა, ასტყდა საშინელი ქარიშხალი, შეიქნა ელვა-ქუხილი, დაუშინა სეტყვა, იჭექა და გავარდა მეხი და დაეცა გზაში ცხენით მიმავალს მიხეილ ხუბეჯაშვილს და უეცრად მოჰკლა ისიცა და ცხენიც. მარჯვენა მხარე თავიდან ფეხებამდის შეტრუსული ჰქონდა ცხენოსანს, ხოლო ცხენს უნაგირის ქვეშ ზურგი შეტრუსოდა. საცოდავად ეყარნენ გზაში კაცი და ცხენი. მერე უცბად გამოიამინდა და ერთი საათის შემდეგ ცა კიდევ ღრუბლით შეიმოსა, უეცრად წვიმა დაუშვა, შეიქმნა ელვა-ქუხილი, გავარდა კიდევ მეხი და დაეცა ხეს ქვეშ შეფარებულს სოფ. ნადარბაზეველ გლეხს გიორგი ალბორიშვილს, თავი გაუტეხა და უეცრად მოჰკლა. ხე რამდენსამე ადგილას ჩამოქერქულია.

ექ. მა—რაძეა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობამ

მეეტლეთა სტაროსტის ჟაბინისა და მის თანაშემწის რემეზოვის სამსახურიდან დათხოვნის გამო, დანიშნა **მეეტლეთა სტაროსტის და მის კანდიდატის** არჩევანი ხუთშაბათს, 19 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში და ამიტომ სთხოვს ყველას, ვინც ბირჟის ეტლს ამუშავებს, დანიშნულ დროზე მოვიდნენ გამგეობის სადგომში და თან მოიტანონ ბლიახები ან მეეტლეთათვის სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკები და მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულს არჩევნებში. (ნ. 2—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა**. ფასი თითო 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—22). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამ წლის 22 აპრილიდან დავიწყე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—39) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან $10^0/_0$ გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა $6^0/_0$-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—19)

ფირფიტები აპარატები

უმაღლესის **ხარისხისა**

ყველას აკრავს ფაბრიკის მარკა „მწერალი ამური“.

კავკასიის უმთავრესი სააგენტო

საქციონერო საზოგადოებისა **გრამმოფონი**

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



კონკურენციის გარეშე!!

გრამმოფონი **„ტონარმ“**

მემბრანით **„ექსიბიშენ“**

მემბრანის „ექსიბიშენ“-ის მეოხებით გრამმოფონი-ტონარმ იმდენად გაუმჯობესდა, **რომ ამ სახის** აპპარატები

მთელს!! დედამიწაზე საუკეთესოა!

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა“ „ექსიბიშენის“ მემბრანით შემდეგია:

ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სიმშვენიერე!!

გრამმოფონ **„ტონარმ“ს** „ექსიბიშენის“ მემბრანით ოთხი ტიპი აქვს

100 მანეთიდან 200-მდე.

მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე

„გიგანტ“,

რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუიმია, რაც ნებას იძლევა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმები და სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟენერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის გაძლიერება, გამშვენიერება, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის ბუნებრივი ტემბრი**. ერთის სიტყვით ფირფიტა **„გიგანტი“** ადამიანის ხმას სავსებით გადასცემს, ასე რომ ცოცხალი მომღერალი გგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჰანგისა; ამათ ვუმატებთ ყოველ ორ კვირაში ახალ სერიების გამოცემათ; ამასთან **„გრამმოფონის“** საზოგადოება ჰყიდის მხოლოდ სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნიც გადასცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებენ

◆ კონკურენციის გარეშე ◆

კატალოგები მსურველთ უფასოდ **ეგზავნება. ახლახან გამოვიდა** და იყიდება **ლიბრეტოების მთელი კრებული** გრამმოფონებისათვის. **რუსული** რეპერტუარი. ეს ლიბრეტო შეიცავს თითქმის 600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის **არიებისას, რომანსებისას,** სიმღერებისას, ანსამბლებისას, ხოროებისას, კუპლეტებისას და ამბებისას. **ამ კრებულის** მეოხებით ყოველს მსმენელს შეუძლია გაიგონოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. ფასი 1 მან. 50 კაპ. (20—9)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—10)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—40)

ბუხჰალტერიისა და საკონტორო ცოდნათა კურსები

ტფ. საკომერციო სასწავლებელთან

(მეხუთე წელიწადი)

კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავაჭრო კანონმდებლობას.

სწავლა დაიწყება **1904 წ. 15 სექტემბრიდან.**

კურსები არა ნაკლებ 6 თვისა გაგრძელდება.

სწავლება საღამოობით, კვირაში სამჯერ.

კურსებზე მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

სწავლის ფასი 40 მან. მთელს კურსში.

თხოვნებს საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზე იღებენ ყოველ დღე დილის 10-დან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში. (5—2)

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები“-ს

სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსების
შაბიამანი ნამდვილ ინგლისური
გოგირდის ყვავილი „სუბლემა“
მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი“
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახის საკონავი.
აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები

(Ч—142—12)



ევალდ იანკოვსკი

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის. ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.

(30—10) **ტელეფონი** № 281.



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СОП
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავალი არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—5.—53)